ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1593007

ნომერი: AR1263892

თარიღი : 06.11.2014

გაცემის თარიღი : 13.11.2014

გაცნობის თარიღი : 20.11.2014

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ც. დადიანი , N 2 , რკინიგზის გადასასვლელი ხიდის მიმდებარე მოედანზე;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლამარა გერლიანი პ/ნ 01024038008
- თბილისი საირმის ქ. N 37 ბ. 4

ნომენკლატურა :

- ქალაქგეგმარება
- ქალაქგეგმარებითი დასკვნა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის, "დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 08 ივლისის N1-1/1254 ბრძანების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი AR1263892 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქალაქგეგმარებით დასკვნას, თქვენს დაინტერესებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: #01.12.12.041.023) (საძირკველის არ მქონე) შენობა-ნაგებობის განთავსებასთან დაკავშირებით. პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

ვინაიდან თქვენს დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთი მდებარეობს ერთ–ერთი მთავარი ქუჩის (ც. დადიანის ქ.) უშუალო სიახლოვეს, შესაბამისად ტერიტორიის მნიშვნელოვანი ადგილმდებარეობიდან გამომდინარე, იმისათვის, რომ არქიტექტურის სამსახურს მიეცეს შესაძლებლობა სრულყოფილად იმსჯელოს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, საჭიროა წარმოადგინოთ საპროექტო ტერიტორიის ესკიზური ვარიანტი, და სიტუაციურ გეგმაზე ზუსტად მონიშნოთ აღნიშნული ობიექტი ზომების მითითებით.

ზემოთთქმულიდან გამომდინარე, გეძლევათ შესაძლებლობა ისარგებლოთ ნომენკლატურის ცვლილების ღილაკით და აირჩიოთ შესაბამისი ნომენკლატურა, კერძოდ: I კლასის მცირე არქიტექტურული ობიექტები.

გაურკვევლობის შემთხვევაში შეგიძლიათ დაუკავშირდეთ სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზს ტ. #2 37 83 46.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.